



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/170

ქ. თბილისი

31 ოქტომბერი 2024

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის შესრულებული ნაშრომის პლაგიატის
არსებობაზე შემოწმების წესში შესატანი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში შესატანი ცვლილების პროექტი (დანართი).
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ი. კუტუბიძე

დანართი

დებულებაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის
პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის თაობაზე

მუხლი 5. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა მე-15 პუნქტს დაემატოს
შემდეგი :

მონოგრაფიის შემთხვევაში - თუ ავტორი ნაშრომში იყენებს უკვე გამოქვეყნებულ
მისივე სამეცნიერო სტატიას/სტატიებს და ადგილი აქვს დადგენილი მეორე
მსგავსების კოეფიციენტის (5%-ის) დასაშვები ნორმის გადაჭარბებას (არა უმეტეს
10%-სა), კომისია ადგენს სამეცნიერო სტატიის გამოყენების რაოდენობას
პროცენტებში და დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე წერს დასკვნას დანართი-
№5-ის შესაბამისად.